საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭო

ინდივიდუალური აუდიტორი დავით რობაქიძე

ლიცენზია №159 (30.06.2000 წ.) მის.: თბილისი, ვარკეთილი-3, II მკ/რ-ნი, 15-87
E-mail: davidrobakidze1956@gmail.com ტელ.: 599 30 15 84; 2 79 84 40

№031/1-1 დ.რ. 13 ივლისი 2016 წ.

ავტომანქანების ღირებულების განსაზღვრის შესახებ

ინდივიდუალურმა აუდიტორმა დავით რობაქიძემ (პ/ნ 01013024727) შპს „სახელმწიფო სამშენებლო კომპანიასთან“ (ს/ნ(ს/ნ 205140257) გაფორმებული ხელშეკრულების (№ელ.შ.25.02.16, 25.02.16 წ.) საფუძველზე, მოვახდინე კომპანიის კუთვნილი 13 (ცამეტი) ერთეული ავტომანქანის დათვალიერება-შემოწმება თითოეული მათგანის ამჟამინდელი რეალური სარეალიზაციო ღირებულების განსაზღვრის მიზნით.

შესაფასებლად წარმოდგენილი ავტომანქანების ზუალური დათვალიერება-შემოწმებისა და მათ შესახებ არსებული დოკუმენტაციის გაცნობის შედეგად დადგინდა, რომ შესაფასებელი ავტომანქანები ძირითადად არიან მსუბუქი ტიპის. ავტომანქანების ნაწილი საბჭოური წარმოებისაა, ხოლო ნაწილი - უცხოური. დადგინდა ისიც, რომ ავტომანქანების უმრავლესობა ხანდაზმულია. ამის გარდა კომპანიის საქმიანობიდან გამომდიანრე მათი საექსპლოატაცვიო პირობები არაორდინალურია და ისინი თავიანთ ექსპლოატაციის პერიოდის გათვალისწინებით ამორტიზირებულ მდგომარეობაში არიან. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ავტომანქანების ნაწილი გამართულ მუშა მდგომარეობაშია, თუმცა მათ მაინც გააჩნიათ გარკვეული ხარვეზები მუშაობისას და ხშირად ესაჭიროებათ სარემონტო სამუშაოების ჩატარება, ნაწილი ავტომანქანების ხანდაზმულიცაა, არამუშა მდგომარეობაშია და ისინი წარმოადგენენ მხოლოდ ჯართის სახით არსებულ ავტომანქანებს. გამომდინარე იქიდან, რომ 13-ივე ავტომანქანა ვერ აკმაყოფილებს მათდამი წაყენებულ მოთხოვნებს, კომპანიის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით მიზანშეწონილია მათი რეალიზაცია და ჩანაცვლება ახლით. შესაბამისად ჩემს ამოცანას შეადგენს მათი ამჟამინდელი სარეალიზაციო ღირებულების განსაზღვრა.

შესაფასებელი მუშა მდგომარეობაში მყოფი ავტომანქანებიდან თითოეულის რეალური სარეალიზაციო ღირებულების განსაზღვრისას გავითვალისწინე მათი ამჟამინდელი მდგომარეობა, მოთხოვნა ასეთი მახასიათებლებისა და ხანდაზმულობის ავტომანქანებზე, მომხმარებლის წრე, ანალოგიური ავტომანქანების რეალიზაციისას დაფიქსირებული და სარეალიზაციოდ გამზადებულებზე არსებული სავარაუდო ფასები, საერთო საბაზრო მდგომარეობა (მანქანებზე მოთხოვნა-მიწოდების თვალსაზრისით), მათი აღდგენა-გამართვისათვის გასაწევი ხარჯის ოდენობა და ავტომანქანის ღირებულებაზე მოქმედი

სხვადასხვა გარემოებები. ხოლო არამუშა მდგომარეობაში მყოფი ავტომანქანებისა, რომლებიც არ ექვემდებარება აღდგენას, სარეალიზაციო ღირებულებები განვსაზღვრე შესაბამისი წონის შავი ლითონის ჯართის ფასის შესაბამისად.

ჩატარებული მოკვლევებისა, ანალიზისა და მონაცემების ურთიერთშეჯერება-გასაშუალების შედეგად თითოეული ავტომანქანას მივუსადაგე შესაბამისი შესაძლო სარეალიზაციო ღირებულებები და მონაცემები წარმოვადგინე ქვემოთ მოყვანილი ცხრილის სახით. ამასთან ერთად თითოეულ ავტომანქანის შესახებ გავაკეთე მცირე შენიშნა მისი მდგომარეობის დახასიათებისათვის.

№	დასახელება	მარკა	სახ. №	გამ. წელი	ტექნიკის დახასიათება	სავარაუდო სარეალიზაციო ღირებულება ლარი
1	მიცუბიში მონტერო		WOM-969	1995	ძრავი გამოსულია მწყობრიდან, გადაცემათა და გამანაწილებელი კოლოფიდან ჟონავს ზეთი, სალონის საჯდომები უვარგისია, საბურავები გაცვეთილია, აკუმლატორები უვარგისია.	1200
2	მოსკვიჩი	იჟ-2715	AER-110	1990	გადაცემათა კოლოფი სარემონტოა, არ აქვს გენერატორი, ელ. გაყვანილობა მოსაწესრიგებელია, აკუმლატორი გამოსულია მწყობრიდან. ძარას აღენიშნება დაზიანებები და კოროზები. გაჩერებულია 5 წელი.	ჩამოსაწერია 300
3	ნივა	ვაზ 21213	BJB-896	2002	მუშა მდგომარეობაში	2500
4	ვოლგა	გაზ31029	ABI-006	1996	იმყოფებოდა მუშა მდგომარეობაში, გაჩერებულია 2 წელი, გადაყვანილია გაზის საწვავზე, დამონტაჟებულია 3 თაობის სისტემა. ბენზინის საწვავის კარბურატორი არ მუშაობს. ძრავი მოიხმარს ნორმაზე მეტ ზეთს.ელ. სისტემა მოსაწესრიგებელია, სავალი ნაწილი საჭიროებს მიმდინარე რემონტს, ძარას აღენიშნება მრავლობითი დაზიანებები, აკუმლატორი გამოსულია მწყობრიდან.	800
5	ფორდ ექსფლოუერი		WWM-032	1997	ძრავი მუშა მდგომარეობაშია მოიხმარს საჭიროეზე მეტ ზეთს, ხარჯავს დიდი რაოდენობით საწვავს. ავტომატური სიჩქარეთა კოლოფი სარემონტოა	900
6	კია კრედო		WNW-937	1998	იმყოფება არა მუშა მდგომარეობაში. ძრავი დაშლილია და სარემონტოა, არ მუშაობს ამორტიზატორები, აკუმულატორი და საბურავები	500

					შესაცვლელია, ძარას აღენიშნება მრავლობითი დზიანებები.	
7	კია სორენტო		QKQ-662	2005	ძრავი სარემონტოა, დამწვარია შუა სადები . ავტომატური გადაცემათა კოლოფს სიჩქარეში გადართვის დროს აქვს დარტყმები, ძარას გარედან აქვს დეფექტები.	4200
8	ნივა	ვაზ 21213	SMS-499	1998	მუშა მდგომარეობაში	2000
9	ნივა	ვაზ 2329	SNS-799	2002	გადაცემათა კოლოფი მე-4 სიჩქარეში არ ფუნქციონირებს, მოსაწესრიგებელია ელ. გაყვანილობა, არ მუშაობს სალონის გათბობის სისტემა, ძარა კოროზირებულია.	1200
10	ნივა	ვაზ 2329	SNS-786	2001	მუშა მდგომარეობაში	1200
11	ნივა	ვაზ 2329	CFC-313	2002	წინა ხიდი გამოსულია მწყობრიდან, მწყობრიდანაა გამოსული გადაცემათა და გამანაწილებელი კოლოფები. ძარა კოროზირებულია (შეჭმულია ჟანგისაგან)	ჩამოსაწერია 300
12	ნივა	ვაზ 2329	SNS-785	2002	მუშა მდგომარეობაში. ძარა კოროზირებულია.	1800
13	ნივა	ვაზ 2329	SNS-781	2001	ძრავი, წინა ხიდი, უკანა ხიდი, გადაცემათა კოლოფი, გამანაწილებელი კოლოფი გამოსულია მწყობრიდან და არ ექვემდებარება აღდგენას. ძრა კოროზირებულია (შეჭმულია ჟანგისაგან)	ჩამოსაწერია 300
	სულ					17200

ყოველივე ზემოაღნიშნულის შედეგად დადგინდა, რომ შპს „სახელმწიფო სამშენებლო კომპანიის“ კუთვნილი 13 ერთეული ავტომანქანის ამჟამინდელი საერთო სარეალიზაციო ღირებულება განისაზღვრება 17200.0 (ჩვიდმეტიათასორასი) ლარით.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: დასკვნას თან ერთვის შესაფასებელი ავტომანქანების ფოტომასალა და ტექ. დოკუმენტების ქსეროასლები.

აუდიტორი: /დ. რობაქიძე/